საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსი

პირობები, ვადები, საკვლევი მიმართულებები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდი აცხადებს საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსს, რომლის მიზანია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა/წახალისება და ამ პროცესში უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობის გაზრდა.

პროექტის აუცილებელი პირობაა კვლევის შედეგების ასახვა სამეცნიერო სტატიის ფორმატით და საზღვარგარეთის მაღალრეიტინგულ ჟურნალში მისი გამოქვეყნება. კერძოდ მისაღებია ის ჟურნალები, რომლებიც ინდექსირებული იქნება: Scimago Journal Ranking და Impact Factor რეიტინგებში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct) Web of Science, EBSCO, ERIH plus ბაზებში.

გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) უნდა მოიცავდეს საგრანტო თანხა. კონკრეტულ გამომცემლობასთან კონტაქტს, სტატიის ფორმატსა და მისი გამოქვეყნების ხარჯებთან დაკავშირებით უზრუნველყოფს თავად კონკურსანტი.

უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, სადაც თვალსაჩინოდ იქნება გამოკვეთილი:

- პრობლემისადმი ინტერდისციპლინური მიდგომა,
- პროექტში ჩართულ პირთა გამოცდილება/კომპეტენცია,
- საკვლევი საკითხის აქტუალურობა,
- კვლევის მეთოდების ორიგინალურობა/ეფექტიანობა,
- კვლევის შედეგების თეორიული ან/და პრაქტიკული მნიშვნელობა,

პროექტში მონაწილეობის პირობები

- პროექტის ხელმძღვანელი აუცილებელია იყოს გრუნის აფილირებული თანამშრომელი.
- სამეცნიერო პროექტი უნდა აერთიანებდეს მინიმუმ 3 პროფესორს და მინიმუმ 3 სტუდენტს (ნებისმიერი საგანმანათლებლო საფეხურის).
- პროექტის წარსადგენად სავალდებულოა შესაბამისი საპროექტო განაცხადის შევსება (არაუმეტეს 1000 სიტყვისა)

- პრიორიტეტი მიენიჭება ინტერდისციპლინურობასა და თბილისისა და ბათუმის კამპუსების მიერ ერთობლივად/თანამშრომლობით წარმოდგენილ პროექტებს.
- უცხოენოვან სტატიასთან ერთად, სავალდებულოა დამატებით ქართულენოვანი სტატიის წარმოდგენაც, უნივერსიტეტის ჟურნალში დასაბეჭდად.
- სავალდებულოა კვლევის შემდგომი ვორქშოპის / ფორუმის ორგანიზება, კვლევის შედეგებით დაინტერესებული აუდიტორიისთვის გასაცნობად.

პროექტის კალენდარი

- კონკურსის გამოცხადება - 2024 წლის 11 **მარტი**
- საკონკურსო პროექტის წარდგენის საბოლოო ვადა - 2023 წლის **9 აპრილი**
- გამარჯვებული პროექტების გამოვლენა - არაუგვიანეს 2023 წლის **17 აპრილი**
- გამარჯვებული პროექტის დასრულება - **2024 წლის 30 სექტემბერი**

პროექტის ბიუჯეტი (საორიენტაციო) - 5000 ლარი განაცხადზე

**(დაშვებულია მხოლოდ 1 განაცხადის გაკეთება თითო პიროვნებაზე)*

პრიორიტეტული მიმართულებები სკოლების მხიედვით:

სამართლის სკოლა

1. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფა;
2. სამართლებრივი სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია;
3. საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში და ადამიანის უფლებები.

საჯარო მმართველობის და პოლიტიკის სკოლა

1. სახელმწიფო მმართველობის ციფრული ტრანსფორმაცია;
2. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაცია საქართველოში;
3. საჯარო სამსახურის რეფორმა.

ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლა

1. თანამდროვე ქართული პრესა და ციფრული ტექნოლოგიები;
2. მედიასაგანმანათლებლო და მედიაკომუნიკაციური ფენომენების შესწავლა;
3. კლინიკური ფსიქოლოგია.

მედიცინის სკოლა

1. ტელემედიცინის დანერგვის ეფექტურობა და პერსპექტივები სტუდენტთა მომზადების პროცესში;
2. საექიმო სპეციალობის და ინფექციების კონტროლის გავლენა პრაქტიკოსი სტომატოლოგების Helicobacter Pylori-ით ინფიცირების მაჩვენებელზე;
3. პირის ღრუს ჯანმრთელობის შესახებ ცოდნის შეფასება, ცალკეული რეგიონების მიხედვით.

ბიზნესისა და მართვის სკოლა

1. ჩრდილოვანი ბანკინგისა და ფინტეკ ტექნოლოგიების როლი საქართველოს საფინანსო სექტორის განვითარებაში;
2. ციფრული ტექნოლოგიები ტურიზმში;
3. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები და ბიზნეს პროცესები საქართველოში.

**ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია პროექტი ეხებოდეს ნებისმიერ სხვა თემასაც, თუმცა უნდა იკვეთებოდეს მისი განსაკუთრებულობა და საჭიროება შესაბამისი სფეროსათვის.*

**თემის აქტუალობისა და კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია მითითებულ თანხაზე მეტის მოთხოვნა.*